წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N2

ქ. წყალტუბო 17.05.2023 წ

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჯანელიძე, მდივანი მარინა ჭავჭანიძე, წევრები: ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, ნიკოლოზ გურეშიძე, მურად სინაურიძე, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე; მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, ეკონომიკური განვითრებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მარეხ კანკაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის, 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

ნ. ჩაკვეტაძე - მერიის ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნ. ჩაკვეტაძის ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის, 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში 112 მრავალშვილიანი ოჯახისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 39 000 ლარი, ცერემბრალური დამბლით დაავადებული 58 პირისათვის 500 - 500 ლარი, 72 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის 400 – 400 ლარი, ჰემოდიალეზზე დამოკიდებულ 40 პირისთვის 2000 – 2000 ლარი, შშმ სტატუსის მქონე 35 ბავშვისთვის 300 – 300 ლარი, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 31 პირისთვის - 300 – 300 ლარი, ფსორიაზით დაავადებული 67 პირისთვის 400 – 400 ლარი, პარკისონით დაავადებული 56 პირისთვის 400 – 400 ლარი ონკოლოგიურად დაავადებული 3 ბავშვისათვის 1500 – 1500 ლარი.

სოციალურად დაუცველი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე 2 ოჯახის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გამოიყო 50 – 50 ათასი ლარი, 2 ოჯახისათვის შეძენილ იქნა 2000 - 2000 ლარის საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ინვენტარი, თავშესაფრის გარეშე მყოფი 26 ოჯახისათვის ბინის ქირის გადასახდელად ყოველთვიურად იცემა 250 – 250 ლარი.

სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცა 380 მოქალაქეზე.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გ. ბალანჩივაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტი გაიზრდება ერთი მილიონი ლარით, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე, სოციალურად დაუცველთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაოდენობა, ერთჯერადი დახმარებიდან გადავიდეთ მრავალჯერად დახმარებაზე, მანვე მოიწონა შტაბის უფროსის ზურაბ ჯანელიძისა და მანანა ჩიხლაძის სოციალურ პროგრამებში მონაწილეობა.

ზურაბ ჯანელიძემ, ედიშერ გედენიძემ, ლალი გრიგოლავამ, მანანა ჩიხლაძემ ყურადღება გაამახვილეს ცალკეულ სოციალურ პროგრამაში ბიზნესმენთა ჩართულობის მიზანშეწონილობაზე

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის, 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნათია ჩაკვეტაძის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

2.ეთხოვოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს გენადი ბალანჩივაძეს, მზარდი სოციალური პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის, ბიუჯეტის გაზრდასთან ერთად, იზრუნოს ამ მიმართებით ბიზნესმენთა ჩართულობის გაზრდაზეც.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე